ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3902571

ნომერი: AR1589586

თარიღი : 29.03.2018

გაცემის თარიღი : 05.04.2018

გაცნობის თარიღი : 05.04.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შალვა ნუცუბიძის ქუჩა N129ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბენი ელიშაყოვი პ/ნ 01015003838
- ნუცუბიძის 129ა

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ,,ელიტ ოფისი" კოდი: 404903486

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: როგორც მოთხოვნის ტექსტიდან ირკვევა ითხოვთ ღია ავტოსადგომის მოწყობას, რაც წარმოადგენს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას, აღნიშნულთან დაკავშირებით კი გაცნობებთ: დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ–1). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14–39 დადგენილების, მუხლი 16, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ო)–ს თანახმად განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი 600 კვ.მ. მინიმალური სიგანე 15 მეტრი და მინიმალური სიღრმე 25 მეტრს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი არ აკმაყოფილებს მითითებულ ნორმებს, სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. რაც შეეხება მოთხოვნის შესაბამისად ასევე მოძრავი საკეტი ბოძის განთავსებას, მიუხედავად საკუთრების უფლებისა აღნიშნულის მოწყობით ნაკვეთის შეზღუდვა სამსახურს არ მიაჩნია შესაძლებლად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.